1. პროგრამის სახელწოდება: თარგმანის ხელოვნება (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)

2. პროგრამის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი ინესა მერაბიშვილი

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი (ქართული-ინგლისური, ინგლისურ-ქართული თარგმანი)/ MA in Philology (Georgian-English, English-Georgian Translation)

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი, ან ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი სპეციალობებით: ფილოლოგია, კულტურის მეცნიერებები, ჟურნალისტიკა.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს: მთარგმნელი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი.

პროგრამა ითვალისწინებს მთარგმნელის, როგორც ბილინგვისტის მომზადებას, რათა მან თარგმნოს ქართულ ენაზე დედნიდან, ხოლო ქართული ტექსტი წარმატებულად გადაიტანოს ინგლისურ ენაზე.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის უმაღლეს კურსს ორი წლის მანძილზე გაუძღვება ბრიტანელი პედაგოგი. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს არჩევითი კურსების სახით ქართული ენის სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის მოსმენას.

მთარგმნელი მომზადდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე, რაც ნიშნავს თარგმანის თანამედროვე თეორიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

შედეგები:

ამ პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს მიღებული ექნება ღრმა ცოდნა თარგმანის თეორიასა და ინგლისურ ენაში და გამომუშავებული ექნება სათანადო ჩვევები თარგმანის ხელოვნებაში.

დასაქმების სფეროები:

მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, ბილინგვისტი ფილოლოგი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ასწავლოს თარგმანის საქმე.

მას აგრეთვე შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით.